



თბილისის სააპელაციო სასამართლო
სასამართლო სხდომის
ოქმი

14 დეკემბერი, 2012 წელი

ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა
სხდომის თავმჯდომარე – ნანა ჭიჭილეთიანი
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
თეა თადაშვილი

სხდომის მდივანი – თეა ტიღინაშვილი

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივა“

წარმომადგენლები - ირაკლი მაჭარაშვილი, ირმა მახათაძე, ნინო გუჯარაძე
(აღმასრულებელი დირექტორი)

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

წარმომადგენლები - მამუკა ივანიაშვილი, ნანა ზამთარაძე

მესამე პირი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

წარმომადგენლები - დავით კუხიანიძე, გიორგი ბარქაია

მესამე პირი - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯი“

წარმომადგენლები - ირაკლი ჟორჟოლიანი, ზურა ალავიძე (დირექტორი)

დავის საგანი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება

სხდომა დაიწყო 12:30 საათზე.

სხდომა დამთავრდა 13:40 საათზე.



სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს.

სხდომის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სხდომის მდივანს პროცესის მზადყოფნის შესახებ მოსახსენებლად.

სხდომის მდივანი მოახსენებს:

პროცესზე მოწვეულ პირთაგან გამოცხადდნენ:

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ერთვის საქმეს) მისი წარმომადგენლები - ირმა მახათაძე (რწმუნებულება ერთვის საქმეს, საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის №3354) და ირაკლი მაჭარაშვილი (მინდობილობა ერთვის საქმეს).

მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები - მამუკა ივანიშვილი, ნანა ზამთარაძე (ბრძანება Nი-287 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, ერთვის საქმეს).

მესამე პირის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლები - დავით კუხიანიძე, გიორგი ბარქაია (მინდობილობა ერთვის საქმეს)

მესამე პირის - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ დირექტორი - ზურაბ ალავიძე (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ერთვის საქმეს) და მისი წარმომადგენელი - ირაკლი ჟორჟოლიანი (რწმუნებულება ერთვის საქმეს ტ. I, ს.ფ. 248).

სხდომის თავმჯდომარე არკვევს გამოცხადებულ პირთა ვინაობას, ამოწმებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 211-212-ე მუხლების შესაბამისად აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, აცხადებს სასამართლო შემადგენლობას:

სხდომის თავმჯდომარე – ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
თეა თადაშვილი

სხდომის მდივანი – თეა ტილინაშვილი

სხდომის თავმჯდომარე ეკითხება მხარეებს აცილება ხომ არ აქვთ სასამართლო კოლეგიის ან სხდომის მდივნის მიმართ?

მხარეებს სასამართლო კოლეგიის და სხდომის მდივნის მიმართ აცილება არ აქვთ.

საქმის განხილვა გრძელდება მტიცებულებების გამოკვლევის ეტაპიდან:



სხდომის თავმჯდომარე განმარტავს: 2012 წლის 06 დეკემბერს სასამართლო სხდომაზე მესამე პირის - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენლის - ირაკლი ჟორჯოლიანის მიერ წარმოდგენილი ქინა 2011 წლის 29 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულება თანახმა ხართ აღნიშნული მტკიცებულებები დაერთოს საქმეს?

მხარეები თანახმა არიან აღნიშნული დოკუმენტი დაერთოს საქმეს.

სააპელაციო პალატამ ადგილზე თათბირით

და ა დ გ ი ნ ა :

1. სააპელაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, 2011 წლის 29 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება (ხუთ ფურცლად) მიღებული იქნას და დაერთოს საქმეს მტკიცებულების სახით.

2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

სხდომის თავმჯდომარე განმარტავს: სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით 2012 წლის 14 დეკემბერს შემოსული არის განცხადება საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე 44 ფურცლად, აღნიშნული მასალები გასაცნობად გადმოგეცემათ მხარეებს და გამოცხადდება შესვენება 30 წუთით.

12.40 საათზე გამოცხადდა შესვენება.

13.10 განახლდა სასამართლო სხდომა სასამართლოს იგივე შემადგენლობით.

თავმჯდომარის შეკითხვაზე წარმოდგენილი მასალის მტკიცებულების სახით დართვასთან დაკავშირებით აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი - ირაკლი მაჭარაშვილი პასუხობს: აღნიშნული მტკიცებულებები ეხება დარიალ ჰესის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ კანონდარღვევებს რომელიც უნდა დაერთოს საქმეს.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე მხარეები განმარტავენ რომ არ არიან თანახმა აღნიშნული მტკიცებულებები დაერთოს საქმეს.

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა - ირაკლი მაჭარაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება მესამე პირის - შ.პ.ს. „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებთან დაკავშირებით რომელიც გადაეცათ მხარეებს.

სააპელაციო პალატამ ადგილზე თათბირით



დაადგინა:

1. სააპელაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლის - ირაკლი მაჭარაშვილის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ოცდაექვს ფრცლად) მიღებული იქნას და დაერთოს საქმეს მტკიცებულების სახით, ხოლო უცხო ენაზე წარმოდგენილი დოკუმენტი დაუბრუნდეს მხარეს.
2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე: წარმოდგენილი ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებები არის თუ არა სადაოდ გამხდარი?

აპელანტი - ა.ა.ი.პ. „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლები - ირმა მახათაძე: ჩვენს მიერ არ არის სადაოდ გამხდარი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებები, ჩვენ სადაოდ ვხდით წინა სასამართლო სხდომაზე გადმოცემულ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის №2247 განკარგულებას. ხოლო რაც შეეხება დავის საკითხთან მიმართებაში კანონდარღვევების თაობაზე საჩივარი წარდგენილი გვაქვს პროკურატურაში.

თავმჯდომარის შეკითხვაზე მხარეებს სხვა სადავო მტკიცებულებებზე მითითებები არ გაუკეთებიათ.

სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენა დასრულებულად გამოაცხადა.

სააპელაციო პალატამ ადგილზე თათბირით



დაადგინა:

1. საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდოს 2012 წლის 19 დეკემბერს 17²⁵ საათზე.
2. განჩინება ცალკე არ გასაჩივრდება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი:



ნანა ჭიჭილეიშვილი

თეა ტიღინაშვილი

